



501/4-1/21
25-01-2021

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს

როგორც მოგეხსენებათ, საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოს ფარგლებში განხორციელდა თემატური მოკვლევა „სახელმწიფო ეკონომიკურ პროგრამებში ქალთა მონაწილეობის შესახებ“. თემატური მოკვლევის ჯგუფმა შეიმუშავა ანგარიში, რომელიც გამოქვეყნდა 2019 წელს. ანგარიშში მოცემულია რეკომენდაციები კონკრეტული უწყებების მიმართ.

მოცემული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის მიზნით, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, მოგმართავთ თხოვნით, მოგვაწოდოთ სრულყოფილი ინფორმაცია ანგარიშით გათვალისწინებული თვითთული რეკომენდაციის შესრულების მიზნით რა ღონისძიებები განახორციელა უწყებამ თავისი კომპეტენციის ფარგლებში. ასევე გთხოვთ, მიუთითოთ ის რეკომენდაციები რომელთა შესრულებაც რელევანტური აღარ არის, ვინაიდან შესაბამისი არგუმენტაციის გათვალისწინებით არ არის მიზანშეწონილი ან/და სხვა ტიპის ღონისძიებებით უკვე მიიღწა დასახული მიზანი. ასევე, გთხოვთ, გვაცნობოთ ის შეუსრულებელი რეკომენდაციები, რომლებზეც უწყება სამომავლოდ გეგმავს მუშაობას. კერძოდ:

პროდუქციის რეალიზაციის პრობლემას უფრო ფართო კონტექსტში თუ შევხედავთ, მნიშვნელოვანია გავიაზროთ, რომ სახელმწიფო ეკონომიკურ პროგრამებში დაფინანსებული პროექტები ისეთ სექტორებს უნდა ავითარებდეს, რომლებიც სახელმწიფოს სტრატეგიულ ინტერესში შედის. შესაბამისად, ქვეყნის მიერ გატარებული მაკროეკონომიკური და სავაჭრო პოლიტიკა წინააღმდეგობაში არ უნდა მოდიოდეს ამ პრინციპთან. მაგალითად, არალოგიკურია, თუ სახელმწიფო აფინანსებს ხორბლის წარმოებას, მაგრამ ამავედროულად ხორბლის მეწარმეებს უზღუდავს განვითარების შესაძლებლობას აღნიშნული პროდუქციის იმპორტზე კონტროლის არარსებობით. შესაბამისად:

1. ქვეყნისათვის ეკონომიკურად პრიორიტეტული დარგების განსაზღვრის შემდგომ შემუშავდა თუ არა ამ სფეროში მოღვაწე მეწარმეების იმპორტირებული პროდუქციისაგან დაცვის მექანიზმები;

უძრავ ქონებაზე, კერძოდ, მიწაზე ხელმისაწვდომობა განსაკუთრებით პრობლემურია ქალებისათვის. შედეგად მათ შეზღუდული აქვთ კრედიტზე ხელმისაწვდომობა. მიწის ფონდის მართვისა და რეგისტრაციის საკითხი საქართველოში, ზოგადად, ძალიან

პრობლემურია, თუმცა მოკვლევის შედეგები აჩვენებს, რომ საჭიროა გამოინახოს გზები, რომელთა საშუალებითაც ქალებს მიწაზე მეტ ხელმისაწვდომობას მივცემთ. აღნიშნული გარემოების გათვალისწინებით შემუშავებული რეკომენდაციის შესაბამისად,

2. სახელმწიფო ეკონომიკურ პროგრამებში მონაწილე ქალებისთვის უზრუნველყოფილი არის თუ არა მიწის ნაკვეთის უფასო რეგისტრაცია;
3. შემუშავდა თუ არა მექანიზმი, რომელიც სოფლის განვითარების სააგენტოს პროექტებში (რომელშიც მიწის ფლობა წარმოადგენს დაფინანსების წინაპირობას) მონაწილე ქალებს შესაძლებლობას აძლევს სახელმწიფოსგან მიწა იჯარით აიღონ აუქციონის გარეშე.

დანართი: „სახელმწიფო ეკონომიკურ პროგრამებში ქალთა მონაწილეობის შესახებ“ თემატური მოკვლევის ანგარიში - 66 (სამოცდაექვსი) გვერდი.

პატივისცემით,

პარლამენტის წევრი
ნინო წილოსანი





საქართველოს იუსტიციის სამინისტრო

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო



KA011744365129921

მისამართი: თბილისი 0114 ვახტანგ გორგასლის N22; www.napr.gov.ge;
ცხელი ხაზი: 2 405 405; 08 009 009 09

51409

09 / თებერვალი / 2021 წ.

საქართველოს პარლამენტის წევრს
ქალბატონ ნინო წილოსანს

ქალბატონო ნინო,

საქართველოს იუსტიციის სამინისტროდან საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში გადმოიგზავნა თქვენი 2021 წლის 25 იანვარის № 501/4-1/21 მომართვა, რომლითაც მოთხოვნილია ინფორმაცია საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოს თემატური მოკვლევის 2019 წლის ანგარიშში „სახელმწიფო ეკონომიკურ პროგრამებში ქალთა მონაწილეობის შესახებ“ გათვალისწინებული რეკომენდაციების შესრულებასთან დაკავშირებით განხორციელებული ღონისძიებების თაობაზე.

საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოს თემატური მოკვლევის 2019 წლის ანგარიშში „სახელმწიფო ეკონომიკურ პროგრამებში ქალთა მონაწილეობის შესახებ“ მითითებული რეკომენდაციებიდან საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს კომპეტენციას მიეკუთვნება მხოლოდ შემდეგი საკითხი - „სახელმწიფო ეკონომიკურ პროგრამებში მონაწილე ქალებისთვის შესაძლებელი იყოს მიწის ნაკვეთის რეგისტრაცია უფასოდ“.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით გაცნობებთ შემდეგს:

2016 წლის 1 აგვისტოდან საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ და საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ დაიწყო მიწის რეგისტრაციის რეფორმა. რეფორმას საფუძვლად უდევს „მიწის ნაკვეთებზე უფლებათა სისტემური და სპორადული რეგისტრაციის წესისა და საკადასტრო მონაცემების სრულყოფის შესახებ“ საქართველოს კანონი.

მიწის რეგისტრაციის რეფორმის დაწყების მიზანს იმ სირთულეების აღმოფხვრა წარმოადგენდა, რომლებსაც მიწის ნაკვეთების მფლობელები საკუთრების უფლების რეგისტრაციის პროცესში აწყდებოდნენ. რეფორმის ფარგლებში, მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების რეგისტრაციის პროცედურა გამარტივდა, მოიხსნა ბიუროკრატიული და ფინანსური ბარიერები, რომლებიც მესაკუთრეს მანამდე ექმნებოდა.

მიწის რეგისტრაციის რეფორმის შედეგად, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსთვის მოქალაქეთა მიმართულებით გაზრდილია დაახლოებით 400 პროცენტით. მიწაზე საკუთრების უფლების რეგისტრაციის მოთხოვნით საჯარო რეესტრს ყოველდღიურად წარედგინება 1500-დან 2000-მდე განცხადება, ცალკეულ შემთხვევებში კი განცხადებების რაოდენობამ დღეში 5000-ს გადააჭარბა.

რეფორმის ფარგლებში მიღებულმა გამოცდილებამ შესაძლებელი გახდა ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე მოსახლეობის უფლებრივი მდგომარეობისა და არსებული პრობლემების კიდევ უფრო დეტალური ანალიზი, რის საფუძველზეც შემუშავდა საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტი, რომელიც საქართველოს პარლამენტმა 2019 წლის 11 დეკემბერს მიიღო. საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად, 2020 წლის 1 იანვრიდან სისტემური და სპორადული რეგისტრაციისთვის კანონით დადგენილი შეღავათები და მოქალაქის ინტერესების დაცვაზე ორიენტირებული მთელი რიგი სხვა პროცედურები აღარ არის დროებითი და ისინი კანონის მუდმივმოქმედ ნორმებად გარდაიქმნა.

2020 წლის 1 იანვრიდან მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების რეგისტრაციის პროცესი კიდევ უფრო გამარტივდა. საკარმიდამო მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების რეგისტრაცია მუნიციპალიტეტის მიერ გაცემული ცნობის საფუძველზე შესაძლებელი გახდა იმ პირებისთვისაც, რომელთაც უფლების დამადასტურებელი დოკუმენტები არ გააჩნიათ. დოკუმენტაციის ლეგალიზაციის საფუძველები კიდევ უფრო გაფართოვდა და საკუთრების უფლება რეგისტრირდება იმ შემთხვევაშიც, თუ უფლების დამდგენ დოკუმენტს არ აქვს ყველა სავალდებულო რეკვიზიტი.

უნდა აღინიშნოს, რომ მიწის რეგისტრაციის რეფორმის ფარგლებში თავიდანვე განისაზღვრა, რომ მიწის ნაკვეთებზე დაინტერესებული პირების უფლების დამადასტურებელი დოკუმენტაციის მოძიება და სისტემატიზაცია, გარიგებაზე მხარეთა ხელმოწერების დამოწმება, სანოტარო შედიაცია, მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარება, ფაქტების კონსტატაცია, საკუთრების უფლების რეგისტრაცია და მასში ცვლილება უსასყიდლოდ (საზღაურის გარეშე) სრულდება.

ამდენად, უკვე 2016 წლის 1 აგვისტოდან მიწის ნაკვეთებზე ქალთა საკუთრების უფლების რეგისტრაცია და სარეგისტრაციო პროცესში საჭირო ყველა პროცედურა უფასოდ არის ხელმისაწვდომი.

შედეგად, მიწის რეგისტრაციის რეფორმის ფარგლებში, 2021 წლის თებერვლის მდგომარეობით, წარმატებით დასრულდა 950 000-ზე მეტი სარეგისტრაციო წარმოება. ხოლო რეგისტრირებული ნაკვეთების საერთო ფართობი შეადგენს 1 051 726 ჰა-ს (4-წლიან პერიოდში ჯამში დაახლოებით იმავე ფართობის მიწა დარეგისტრირდა, რაც საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენიდან 25 წლის განმავლობაში იყო რეგისტრირებული).

აღსანიშნავია, რომ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების რეგისტრაცია საკომლო წიგნის ჩანაწერების საფუძველზე, კომლის ყველა წევრის სახელზე წარმოებს, მათ შორის, რეგისტრირდება კომლის წევრი ქალის საკუთრების უფლებაც. სარეგისტრაციო პრაქტიკის ანალიზი ცხადყოფს, რომ წარსულში, განსაკუთრებით 2000-იან წლებში სოფლად მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების რეგისტრაციისას, ყველა შემთხვევაში კომლის შემადგენლობის შესახებ ინფორმაცია არ მოითხოვებოდა. მაგალითად, „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების უფლების პირველადი რეგისტრაციის გადაუდებელ ღონისძიებათა და საქართველოს მოქალაქეთათვის სარეგისტრაციო მოწმობების გაცემის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 16 მაისის №327 ბრძანებულების საფუძველზე, 1999-2002 წლებში სისტემური წესით რეგისტრირებული უფლებები ძირითადად რეგისტრირებულია მხოლოდ კომლის (ოჯახის) უფროსის სახელზე. კომლის უფროსებს კი, უმრავლეს შემთხვევაში მამაკაცები წარმოადგენდნენ. შემდგომ წლებში ამ ბრძანებულების საფუძველზე, რეგისტრირებული მიწის ნაკვეთების საკადასტრო მონაცემების დაზუსტებასაც (რეგისტრირებული მონაცემის ცვლილება) მხოლოდ ეს პირები ახდენდნენ. ეს მიდგომა ძირითადად 2013 წლიდან შეიცვალა, ხოლო 2016 წლის 1 აგვისტოდან უკვე ნორმატიულად განისაზღვრა, რომ ისეთი დოკუმენტების საფუძველზეც უფლებების რეგისტრაციისას, რომლითაც მიწის ნაკვეთზე მხოლოდ ერთი პირის უფლება დგინდება, სავალდებულოა კომლის შემადგენლობის შესახებ ინფორმაციის მოძიება და უფლების კომლის ყველა წევრის სახელზე რეგისტრაცია. კერძოდ, თუ სარეგისტრაციო დოკუმენტს წარმოადგენს 1990-იან წლებში მიწის რეფორმის კომისიის მიერ გაცემული მიღება-ჩაბარების აქტი, სასოფლო-სამეურნეო ან არასასოფლო-სამეურნეო მიწით სარგებლობისთვის გადასახადის გადამხდელთა სია, განაწილების სია ან მოთხოვნილია ტექნიკური ინვენტარიზაციის არქივში აღრიცხულ თვითნებურად დაკავებულ მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარება ან ზემოაღნიშნული საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 16 მაისის №327 ბრძანებულების საფუძველზე რეგისტრირებული მონაცემების ცვლილება, უძრავ ნივთზე რეგისტრირდება კომლის წევრთა თანასაკუთრების უფლება.

რაც შეეხება გენდერული ნიშნით სეგრეგირებულ სტატისტიკურ ინფორმაციას, მიწის რეგისტრაციის რეფორმის ფარგლებში რეგისტრირებულ ქალ მესაკუთრეთა რაოდენობა შეადგენს 304 900-ზე მეტია, ხოლო, მამაკაც მესაკუთრეთა - 348 400-ზე მეტი.

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით, მაგალითად, 2021 წლის თებერვლის მდგომარეობით, **საცხოვრებელ ფართობებზე** (სახლზე/ბინაზე) რეგისტრირებულ ქალ მესაკუთრეთა რაოდენობა არის 616 100-ზე მეტი, ხოლო, რეგისტრირებულ მამაკაც მესაკუთრეთა - 617 700-ზე მეტი. აღსანიშნავია, რომ ქალაქ თბილისში საცხოვრებელ ფართობებზე (სახლი/ბინა) რეგისტრირებულ ქალ მესაკუთრეთა რაოდენობა არის 247 500-ზე მეტი, ხოლო, რეგისტრირებული მამაკაც მესაკუთრეთა - 204 000-ზე მეტი.

მოთხოვნის შემთხვევაში, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო შეძლებს გენდერულად სეგრეგირებული ნიშნით, თქვენთვის საინტერესო სტატისტიკური ინფორმაციის დამუშავებასაც.

პატივისცემით,

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს
თავმჯდომარე

ხელმოწერა/
შტამგდასმულია
ელექტრონულად



ნათია ჩირიკაშვილი